საქართველოს 2025 წლის ჩემპიონატი ისპორტში - GT3

რეგლამენტი

1. მიმოხილვა

1.1. საქართველოს 2025 წლის ჩემპიონატი ვირტუალურ წრიულ რბოლაში არის სიმულირებული სარბოლო სერია, რომელიც შედგება 6 ეტაპისგან. გამარჯვებულები და პრიზიორები გამოვლინდებიან ქულათა ჯამით, ინდივიდუალურ ჩათვლაში.

1.2. რბოლები ტარდება პერსონალური კომპიუტერის (PC) პლატფორმაზე, Assetto Corsa Copmetizione (ACC) სიმულატორის გამოყენებით. რბოლების პირდაპირი ტრანსლაცია მოხდება Simulexe Racing-ის YouTube არხის და Facebook გვერდის მეშვეობით.

1.3. ჩემპიონატი ტარდება საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის მხარდაჭერით და შეტანილია ფედერაციის 2025 წლის სპორტული ღონისძიებების კალენდარში.

2. სარბოლო ავტომობილები

2.1. სარბოლო სერიაში გამოიყენება ACC-ში ხელმისაწვდომი ყველა GT3 და GT4 კლასის ავტომობილი.

2.2. GT3 და GT4 კლასის ავტომობილები ასპარეზობენ საკუთარ ინდივიდუალურ ჩათვლაში, საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატის ჩათვლად ითვლება GT3 კლასის ჩათვლა.

2.3. სარბოლო და სავარჯიშო სერვერებზე თითოეული მარკის და მოდელის ავტომობილზე გავრცელდება Low Fuel Motorsport (LFM)-ის მიერ დადგენილი ჰენდიკაპები (balance of performance - BoP).

2.4. ორგანიზატორი მრბოლელებს მიანიჭებს ავტომობილის ინდივიდუალურ სარბოლო შეფერილობას (სკინი). თუ მრბოლელს სურს გამოიყენოს საკუთარი სკინი, მრბოლელმა სკინის შემცველი ფოლდერი უნდა გადაუგზავნოს ორგანიზატორს. სარბოლო ნომერი სკინზე განთავსებული უნდა იყოს ავტომობილის ორივე მხარეს. ორგანიზატორი სკინების სრულ პაკეტს მიაწვდის ყველა მონაწილეს.

2.5. ორგანიზატორი უფლებას იტოვებს გამოყოს სპეციალური ადგილები სარბოლო ავტომობილებზე ჩემპიონატის სპონსორების ლოგოებისთვის.

2.6. მონაწილეებს ექნებათ ავტომობილის კონფიგურაციის (სეტაპის) შეცვლის სრული თავისუფლება.

2.7. დაზიანების მოდელი - სტანდარტული

3. შეჯიბრების ფორმატი

3.1. თითოეული ეტაპი შედგება თავისუფალი ვარჯიშის, კვალიფიკაციისა და ერთი რბოლისგან. რბოლაში მონაწილეები სტარტს აიღებენ კვალიფიკაციის შედეგების მიხედვით.

3.2. GT3 და GT4 კლასების კვალიფიკაციის განრიგს განსაზღვრავს რბოლის დირექტორი

3.3. სესიების სტანდარტული განრიგი:

- 20:00 თავისუფალი ვარჯიში - 80 წუთი
- 21:20 კვალიფიკაცია - 20 წუთი
- 21:45 რბოლა - 50 წუთი

3.4. რბოლის დროს სავალდებულოა პიტსტოპის განხორციელება და საბურავის შეცვლა.

3.5. რბოლის დროს პიტებში ავტომატურად გადასვლა (Return to garage ფუნქციით) იწვევს DNF-ს. პიტებში ასეთი გადასვლის შემდეგ ტრასაზე დაბრუნება არ შეიძლება.

3.6. თუ ეტაპის მიმდინარეობისას გაითიშა სერვერი, შეჯიბრი განახლდება უახლოესი შესაძლებლობისთანავე, რის შესახებაც ეცნობებათ მონაწილეებს სიმულექსის დისკორდში, ან Facebook ჯგუფში.

3.7. კვალიფკაციის დროს სერვერის გათიშვის შემთხვევაში ეტაპის საკვალიფიკაციო სესია დაიწყება თავიდან.

3.8. რბოლის დროს სერვერის გათიშვის შემთხვევაში, რბოლის შედეგი გადაწყდება შემდეგნაირად:

3.8.1. თუ რბოლის დასრულებამდე დარჩენილია 10 წუთი, ან მეტი, რბოლა განახლდება უსაფრთხოების ავტომობილის უკან, რბოლის დირექტორის მითითებების შესაბამისად. მრბოლელები განლაგდებიან იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც იმყოფებოდნენ ტრასაზე ტექნიკურ ხარვეზამდე, ლიდერის მიერ უკანასკნელი წრის დაწყების მომენტში.

3.8.2. თუ რბოლის დასრულებამდე დარჩენილია 10 წუთზე ნაკლები, რბოლა ჩაითვლება დასრულებულად იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც მრბოლელები იმყოფებოდნენ ტრასაზე ტექნიკურ ხარვეზამდე, ლიდერის მიერ უკანასკნელი წრის დაწყების მომენტში.

3.9. რბოლის დირექციას უფლება აქვს შეაჩეროს რბოლა საკუთარი შეხედულებისამებრ, სხვადასხვა კრიტიკული, არა ინდივიდუალური ხასიათის ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში.

3.10. რბოლის დირექცია არ არის პასუხისმგებელი მრბოლელების ტექნიკის, ან კავშირის ინდივიდუალური გაუმართაობით გამოწვეულ პრობლემებზე.

3.11. ჩემპიონატის განმავლობაში მოქმედებს ტრეკ ლიმიტების, პიტლეინის კონტროლის ავტომატური სისტემა. სარბოლო კომისარი გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ სარბოლო ინციდენტებთან დაკავშირებით.

3.12. რბოლის დროს ავტომობილებს შორის პოზიციისთვის ბრძოლისას და სარბოლო ინციდენტების მსაჯობისას გამოიყენება საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) წრიული რბოლის ჩატარების წესების შესაბამისი დებულებები.

3.13. სადავო სარბოლო ინციდენტებს განიხილავს ორგანიზატორის მიერ დანიშნული სარბოლ კომისართა კოლეგია.

3.14. სარბოლო ინციდენტებთან დაკავშირებით, მრბოლელებს აქვთ შესაძლებლობა, გააგზავნონ საჩივარი და მიუთითონ, თუ რომელ წრეზე/წუთზე და ვისი მონაწილეობით მოხდა ინციდენტი.

3.15. საჩივრების გაგზავნა შესაძლებელია რბოლის დასრულებიდან 30 წუთის ვადაში, სიმულექს რეისინგის დისკორდ სერვერზე, საჩივრების ჩატში, ან ელ ფოსტის მისამართზე simulexeracing@gmail.com

3.16. სანქციის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნას:

- **გაფრთხილება**
- **რბოლის შედეგზე +5 +10 +15 +20 +30 წამის დამატება**
- **დისკვალიფიკაცია**
- **დისკვალიფიკაცია ერთი, ან რამდენიმე რბოლით**
- **ჩემპიონატიდან დისკვალიფიკაცია**

N	დარღვევა	ჯარიმა
1	ჩემპიონატის განმავლობაში 3 გაფრთხილების დაგროვება	- საჯარიმო დრო 5 წამი
2	ტრეკის დადგენილი ლიმიტების დარღვევით მოწინააღმდეგესთან მიმართებაში უპირატესობის მოპოვება/გასწრება	- საჯარიმო დრო 5 წამი

3	მეტოქესთან უპირატესობის მოპოვება, ან გასწრება კონტაქტის გამოწვევით	- გაფრთხილება - საჯარიმო დრო 5 წამი
4	მეტოქის ტრასიდან გადაგდება, ან მოცურება, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი დროის, ან რამდენიმე პოზიციის დაკარგვა	- საჯარიმო დრო 10-20 წამი
5	მძიმე ინციდენტის გამოწვევეა, ორი, ან მეტი მეტოქის მონაწილეობით	- საჯარიმო დრო 20-30 წამი
6	გადამეტებულად აგრესიული მართვა სტარტზე, ან პირველ წრეზე, რამაც გამოიწვია რამდენიმე ავტომობილის მოცურება, ან ტრასიდან გადავარდნა	- საჯარიმო დრო 20 – 30 წამი - პიტებში გავლა - დისკვალიფიკაცია
7	ტრეკზე სახიფათო დაბრუნება	გაფრთხილება
8	ტრეკზე სახიფათო დაბრუნება, რამაც გამოიწვია ინციდენტი, ან მნიშვნელოვანი დროის დაკარგვა	- საჯარიმო დრო 10-20 წამი
9	ჩემპიონატის განმავლობაში, ჯამურად 55 საჯარიმო წამის დაგროვება	- საკვალიფიკაციო სესიის გამოტოვება მომდევნო ეტაპზე
10	ჩემპიონატის განმავლობაში ჯამურად 95 საჯარიმო წამის დაგროვება	- მომდევნო ეტაპის გამოტოვება
11	ტრასაზე, ან პიტლეინზე არასპორტული, ან უწესრიგო ქმედება	- გაფრთხილება - დისკვალიფიკაცია - ჩემპიონატიდან დისკვალიფიკაცია
12	რბოლის ხელმძღვანელების მითითებების დაუმორჩილებლობა	- დისკვალიფიკაცია
13	რბოლაში დაბრუნება DNF-ის შემდეგ	- დისკვალიფიკაცია
14	რბოლის დროს განსაკუთრებული უხეშობა ან/და მრავალი ინციდენტის გამოწვევა	- ერთ რბოლიანი დისკვალიფიკაცია

3.11. ქულები თითოეულ რბოლაზე გადანაწილდება წრიულ რბოლაში საქართველოს ჩემპიონატში განსაზღვრული წესების შესაბამისად. ქულების ათვლა მოხდება ინდივიდუალურ ჩათვლაში, თითოეული ეტაპის საბოლოო შედეგების შესაბამისად. შედეგები გამოქვეყნდება Facebook-ის გვერდზე Simulexe და საავტომობილო სპორტის ფედერაციის ვებ გვერდზე www.gasf.co

პოზიცია	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
ქულა	30	25	22	20	18	16	14	12	10	8	6	4	3	2	1

4. რეგისტრაცია და მონაწილეობა

4.1. სერიაში მონაწილეობისთვის საჭიროა შესაბამისი მონაცემების მქონე პერსონალური კომპიუტერი, სტაბილური ინტერნეტ კავშირით, სიმულაციური საჭე და პედლები, Steam-ის პლატფორმა, სიმულატორი Assetto Corsa Competizione. სიმულექსს შეუძლია შეთავაზოს შეზღუდული რაოდენობის სიმ რიგები მონაწილეობის მსურველებს, თბილისში, ვიქტორ დოლიძის N48-ში მდებარე კლუბში.

4.2. ჩემპიონატზე რეგისტრაციით მრბოლელი იღებს სრულ პასუხისმგებლობას საკუთარი აღჭურვილობის და და ინტერნეტკავშირის გამართულობაზე.

4.3. ორგანიზატორი არ არის ვალდებული ტექნიკური მიზეზებით მონაწილის რბოლიდან გამოთიშვის, ან სხვა ხარვეზების შემთხვევაში შეაჩეროს რბოლა, ან სხვაგვარად ჩაერიოს მის მიმდინარეობაში.

4.4. ჩემპიონატზე რეგისტრაციისთვის, **არაუგვიანეს 24 თებერვლისა,** შეავსეთ სარეგისტრაციო ფორმა ბმულზე:

https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLScwRUL0ZLuYqHwMVaC7zCpI1byCLCjb7U3uljV6-UnVsoiG0g/viewform?usp=header

4.5.რეგისტრირებულმა მრბოლელმა, რბოლაში მონაწილეობამდე, Assetto Corsa Competizione-ს მთავარ მენიუში **უნდა ჩაწეროს საკუთარი სახელი და გვარი,** რომ მოხდეს ტრანსლაციისას მისი სწორად იდენტიფიცირება.

შეკითხვების შემთხვევაში, დაგვიკავშირდით მითითებულ იმეილზე, ან მოგვწერეთ Facebook გვერდზე Simulexe Racing.

სერიის კალენდარი

26 თებერვალი - ბარსელონა
05 მარტი - იმოლა
12 მარტი - რედ ბულ რინგი
19 მარტი - ზოლდერი
26 მარტი - ინდიანაპოლისი
02 აპრილი - მონცა